



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის
შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სახელწოდება სწავლის სფეროების
კლასიფიკატორის მიხედვით

ტრანსპორტის“ და „სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის“
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერი

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 2023 წლის 03-04 აპრილი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 2023 წლის 19 მაისი

თბილისი
2023

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ.....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	8
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.....	8
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	26
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	34
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	40
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	56

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ფრიდონ გოგიაშვილი, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაია გრძელიძე, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ჯოჯუა, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით კაკიაშვილი, შპს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მზევარ გოგილავა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს სატრანსპორტო ნაკადების ავტომატიზირებული მართვის სამსახურის უფროსი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ტრანსპორტი	სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ტრანსპორტის ინჟინერიის მაგისტრი	სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგიის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები 0716	ინჟინერია და საინჟინრო საქმე – არაკლასიფიცირებული 0719
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³		
სწავლების ენა	ქართული	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არაკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	პირობით აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №574578 , 01.06.2021 წ.	ახალი

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

³ (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემჯავებელი დასკვნა

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ⁴

აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი „ტრანსპორტის“ და „სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერი წარმოადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის მიერ შემუშავებულ, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ მიხედვით დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამების ერთობლიობას, რომელთა დაჯგუფების წესი და პირობები განსაზღვრულია აკრედიტაციის დებულების შესაბამისად და ეროვნული ჩარჩო კლასიფიკატორის თანახმად ერთი და იგივე დეტალურ სფეროს მიეკუთვნებიან.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ტრანსპორტ“-ს ჰქონდა პირობითი აკრედიტაცია. შესაბამისად წარმოდგენილი პროგრამა „ტრანსპორტი“ წარმოადგენს არსებული პროგრამის მოდიფიცირებულ ვერსიას, რომელშიდაც განხორციელდა ცვლილებები ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიცემული რეკომენდაციების შესაბამისად. ზოგადად, სამაგისტრო პროგრამა ტრანსპორტი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხორციელდებოდა 2012 წლიდან. მასში გაერთიანებულია, როგორც საავტომობილო, ასევე სარკინიგზო ტრანსპორტი. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 20-მდე აკადემიური პერსონალი. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა ტრანსპორტი შემუშავებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 ECTS კრედიტს და მოიცავს პროგრამის სწავლის ძირითადი სფეროს სავალდებულო და არჩევით კურსებს, 2 კონცენტრაციას, პრაქტიკას და კვლევით კომპონენტს. სავალდებულო სასწავლო კურსები 34 კრედიტი, უცხოური „ინგლისური ენა“ 10 კრედიტი, პრაქტიკა 8 კრედიტი. 2 კონცენტრაციისათვის განსაზღვრულია 68 კრედიტი, თითოეულისათვის (მათ შორის კვლევითი კომპონენტი შეადგენს 30 კრედიტს).

მაგისტრატურის ახალი საგანმანათლებლო პროგრამა „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით შეესაბამება სფეროს: 0719 ინჟინერია და საინჟინრო საქმე – არაკლასიფიცირებული, კვალიფიკაციით: სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის მაგისტრი. ამასთან, პროგრამა შესაბამისობაშია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიასა და უნივერსიტეტისა და სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 ECTS კრედიტი შეადგენს 25 ECTS საათს, რომელშიც იგულისხმება, როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. პროგრამა გრძელდება 2 წელი (4 სემესტრი) და მოიცავს 120 ECTS კრედიტს. მოიცავს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს (მათ შორის სამაგისტრო პრაქტიკას) და კვლევით კომპონენტს (30 კრედიტი).

კლასტერში წამოდგენილი ორივე პროგრამის სასწავლო გეგმა შესაბამისობაშია პროგრამის მიზანთან და სრულად უზრუნველყოფს გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, რომელიც გათვალისწინებულია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეშვიდე დონის (მაგისტრატურის) აღმწერით.

⁴ პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

პროგრამების განხორციელებისათვის გათვალისწინებული ადამიანური, მეთოდური და მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის შეუფერხებელ განხორციელებას. სწავლა/სწავლების და სტუდენტთა მიღწევების შეფასების მეთოდები სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის შესაბამის დებულებებს და უზრუნველყოფს სტუდენტთა შედეგების სამართლიან და გამჭვირვალედ შეფასებას.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

წარმოდგენილი პროგრამების აკრედიტაციის პროცედურების ჩატარების მიზნით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 3 და 4 აპრილს. ვიზიტის განხორციელებაში მონაწილეობდნენ ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ფრიდონ გოგიაშვილი თავმჯდომარე, მაია გრძელიძე - წევრი, მზევარ გოგილავა - წევრი, ნინო ჯოჯუა - წევრი, დავით კაკიაშვილი - წევრი. (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანება №270130). ვიზიტის განმავლობაში ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე შემოწმდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მატერიალურ ტექნიკური ბაზა.

ვიზიტის დაწყებამდე ექსპერტთა ჯგუფს დროულად მიეწოდა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამების პაკეტი და თვითშეფასების ანგარიში. ვიზიტი განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით, ასევე წინასწარი კონსულტაციებით ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შეჯერებული ჰქონდა კითხვები და საკითხები, რომელთა დაზუსტება ან დამატებითი განმარტება იყო საჭირო.

ვიზიტის განმავლობაში, გარდა წარმოდგენილი დოკუმენტებისა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა დამატებით წარმოდგენილი ინფორმაცია და დოკუმენტები. ვიზიტის დასრულების ბოლოს გაიმართა შემაჯამებელი შეხვედრა უსდს წარმომადგენლებთან, სადაც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მათ გააცნო განხორციელებული ვიზიტის ძირითადი მიგნებები.

აკრედიტაციის ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს შეუქმნა ყველა პირობა, იმისათვის, რომ ვიზიტი წარმართულყო საქმიან, მშვიდ გარემოში.

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას დადგინდა, რომ კლასტერში წარმოდგენილი ორივე პროგრამისათვის:

- **სტანდარტი 1** - 1.1., 1.2., 1.3., 1.4., 1.5. კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, შესაბამისად **პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;**
- **სტანდარტი 2** - 2.1., 2.2., 2.3., 2.4. კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. შესაბამისად, **მეორე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;**
- **სტანდარტი 3**- 3.1., 3.2 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. შესაბამისად, **მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;**
- **სტანდარტი 4** - 4.1, 4.2, 4.3., 4.4., 4.5 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. შესაბამისად, **მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;**
- **სტანდარტი 5** - 5.1, 5.2 და 5.3 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, შესაბამისად, **მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

რეკომენდაციები

რჩევები კლასტერის პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამები გამდიდრდეს დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებით და მემორანდუმებით;
- სტუდენტთა გამოკითხვების რელევანტურობის გაზრდის მიზნით სასურველია გაიზარდოს გამოკითხვებში ჩართულ სტუდენტთა რიცხვი;
- სასურველია პროგრამის ბიუჯეტში გაიზარდოს სტუდენტური აქტივობებისათვის საჭირო ფინანსური მხარდაჭერა.
- სასურველია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის დონის ამაღლების მიზნით გაღრმავდეს ურთიერთობა საზღვარგარეთ არსებული ანალოგი პროგრამების განმახორციელებელ ინსტიტუტებთან და დაიგეგმოს შესაბამისი აქტივობები როგორცაა: უცხოენოვანი ლიტერატურის და სამეცნიერო სტატიების გამოყენება, საერთაშორისო კონკურსებში და პროგრამებში მონაწილეობა და სხვა;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“

- სასურველია წარმატებული პრაქტიკის მქონე საზღვარგარეთ არსებულ პროგრამებთან დადარების დოკუმენტში (დანართი 12.3) სასწავლო კურსები დალაგებული იყოს მსგავსების მიხედვით;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - „ტრანსპორტი“

- სასურველია ზოგიერთ სასწავლო კურსებში ლიტერატურას დაემატოს თანამედროვე ქართულენოვანი ან ინგლისურენოვანი გამოცემები;

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵

ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე;

ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 „ტრანსპორტი“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა⁶

ტრანსპორტის დარგი, მათ შორის საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტი, საქართველოს ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ერთ ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. პრაქტიკულად არ არსებობს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკის და საქალაქო მეურნეობის სტრუქტურები, რომელთა ყოველდღიური საქმიანობა მჭიდროდ არ იყოს დაკავშირებული სატრანსპორტო სისტემებთან. შესაბამისად, მნიშვნელოვანია აღნიშნული დარგის მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების არსებობა სისტემის ყველა რგოლისათვის.

კლასტერში წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა „ტრანსპორტი“ თავისის შინაარსით სწორედ აღნიშნულ დებულებებს ეხმიანება. სამაგისტრო პროგრამის „ტრანსპორტი“ (შემდგომში პროგრამა) მიზანია მოამზადოს დარგის ღრმა ცოდნით აღჭურვილი და შრომითი ბაზრის შესაბამისი ტრანსპორტის ინჟინერიის მაგისტრი, რომელიც შეძლებს საავტომობილო და სარკინიგზო საშუალებების ექსპლუატაციას, რემონტს და დიაგნოსტიკას თანამედროვე ტექნიკური საშუალებების და მეთოდების გამოყენებით. პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე მაგისტრმა უნდა შეძლოს ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტზე ეკოლოგიურობის და უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

⁶ აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

აღწერისა და ანალიზის ველი გთხოვთ, გაიმეოროთ პროგრამების რაოდენობის შესაბამისად, მაგალითად, პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური), პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური) და ა.შ. (მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).

პროგრამის მიზანი შესაბამისობაშია სატრანსპორტო სისტემების და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის მისიასთან, რომელიც ითვალისწინებს ეროვნული მეურნეობის დარგებთან მიმართებაში განახორციელოს სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა, უზრუნველყოს დარგი საჭირო ხარისხისა და რაოდენობის სპეციალისტებით. პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუების შედეგად დგინდება, რომ პროგრამის მიზნები კარგად არის გააზრებული მათ მიერ. მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული რეალისტური და მიღწევადია, ითვალისწინებს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის ტენდეციებს, დამსაქმებლების და დარგის განვითარების მოთხოვნებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა⁷

სამრეწველო წარმოების სფერო ქვეყნის ინდუსტრიის ყველაზე ფართო, მრავალფეროვანი და მაღალრენტაბელური დარგია. მის განვითარებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი, ინვესტიციების მოზიდვა, ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების ორგანიზება, დასაქმების მაჩვენებლის ზრდა და ეროვნული შემოსავლების მატება. სამრეწველო ინდუსტრია და შესაბამისი მცირე და საშუალო ბიზნესის ჩამოყალიბება, პროდუქციის რეალიზაციის ბაზრის საჭიროებები და მრავალფუნქციური დანიშნულების პროდუქციის მიწოდება, მაღალი სამომხმარებლო ხარისხის მქონე პროდუქციაზე მზარდი მოთხოვნა, ინოვაციური ტექნოლოგიები და თანამედროვე სპეციალურვილობები – ახალი ტიპის, მაღალი დონის თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე სპეციალისტის მომზადებას მოითხოვს.

აქედან გამომდინარე, მოთხოვნა დარგის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებზე მუდმივად არსებობს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ხელშეწყობა აღნიშნული დარგის სპეციალისტის მომზადების საქმეში, რათა ქვეყნის შიგნით მოხდეს მაღალხარისხიანი, მაღალი სამომხმარებლო თვისებების პროდუქციის წარმოება, ამასთან, მოხდეს არსებული საწარმოების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვა, ან ახალი საწარმოების დაფუძნება, რომელიც თავის მხრივ მოსახლეობის შესაბამისი დარგის კვალიფიციური სპეციალისტების დასაქმებას და ახალგაზრდებში დარგის შესწავლაზე მოთხოვნის გაზრდას შეუწყობს ხელს.

პროგრამის აქტუალობას განსაზღვრავს მიზანი, სამრეწველო საწარმოების ინტელექტუალური პოტენციალის ამაღლებისათვის მომზადდეს თანამედროვე გამოწვევების შესაბამისი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების მქონე ახალგაზრდა სპეციალისტი. კერძოდ, „სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამის მიზანია, მოამზადოს სტუდენტი დარგის ღრმა და სისტემური ცოდნის, მისი კრიტიკული გააზრების, პრაქტიკული და კვლევითი უნარების გამომუშავების საფუძველზე:

- კომპლექსურ და მულტიდისციპლინურ გარემოში უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებით საწარმოო პროცესების მოდელირების, საწარმოთა დაგეგმარებისა და ოპტიმიზაციის განსახორციელებლად;

⁷ აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

აღწერისა და ანალიზის ველი გთხოვთ, გაიმეოროთ პროგრამების რაოდენობის შესაბამისად, მაგალითად, პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური), პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური) და ა.შ. (მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).

- საწარმოო ავტომატიზებული კომპლექსების განვითარების კვლევის საქმიანობასთან დაკავშირებული ტექნოლოგიური პროცესების ხელმძღვანელობასა და მართვაში, უახლესი მიდგომებითა და ეკოლოგიური უსაფრთხოების გათვალისწინებით.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ მიზანი შეესაბამება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიასა და ხედვას, სადაც არსებობს ჩანაწერი: „მოქალაქეობრივი ცნობიერების, ეროვნული და საკაცობრიო ღირებულებების მატარებელი კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, კვლევების, განათლების და ტექნოლოგიების ახალი შესაძლებლობების შეთავაზება, ქვეყანაში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობის ხელშეწყობა და საერთაშორისო ეკოსისტემაში ინტეგრირებისათვის ინოვაციური საქმიანობის წარმართვა“, ხოლო უნივერსიტეტის ხედვაა უზრუნველყოფა: „ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის ინტელექტუალური ბაზისის შექმნა“.

პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ შექმნილია შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/6 ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდება“ – <https://gtu.ge/AboutStu/regulation.php>;
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია <http://gtu.ge/AboutStu/Mission.php>;
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2018-2024 წწ <https://gtu.ge/AboutStu/strategic-plan.php>;
- სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დებულება <https://gtu.ge/Stmm/Pdf/FAKULTETIS%20DEBULEBA+.pdf>;
- სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის ვებ-გვერდი <https://gtu.ge/Stmm/>.
- სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის მისია <https://gtu.ge/Stmm/>;
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ტრანსპორტი“;
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“;
- დამსაქმებლებელთა გამოხმაურებები;
- შრომის ბაზრის ანალიზი;
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებულებთან და დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

შეფასება ⁸

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი პროგრამის მიზნები	1.1	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა „ტრანსპორტი“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	1	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	2	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➤ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 ტრანსპორტი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ

⁸ შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ მოთხოვნებს - მათ შორის, ითვალისწინებს სწავლების ძირითადი სფეროს თავისებურებებს, შეესაბამება კვალიფიკაციის (მაგისტრატურის) დონეს და აერთიანებს ცოდნასა და გაცნობიერებას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას.

სწავლის შედეგები მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, არის რეალისტური, გაზომვადი და მიღწევადი, შეესაბამება კურსდამთავრებულთა მიღებული კვალიფიკაციით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე (დოქტურანტურაში) სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

პროგრამის მიზნების შესაბამისად, პროგრამის შედეგებში გაწერილია ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები, რომლებსაც ფლობს პროგრამის კურსდამთავრებული, კერძოდ:

- არგუმენტირებულად აყალიბებს დასკვნებს და კვლევის შედეგებს აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენაზე;
- უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, ახალი, ორიგინალური გზების ძიებით და კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტიტ ტრანსპორტის ინჟინერიაში (საავტომობილო და სარკინიგზო) კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება;
- ეფექტიანად იყენებს ძრავიანი ტრანსპორტის (საავტომობილო და სარკინიგზო) ექსპლუატაციისა და სხვადასხვა სახის ტრანსპორტის ურთიერთქმედების პროცესში, ინფორმაციულ-კომუნიკაციურ ტექნოლოგიურ რესურსებს პრობლემატური საკითხების სისტემური მიდგომით გადაწყვეტისათვის;
- გეგმავს გადაუდებელ სარემონტო-აღდგენით სამუშაოებს და მათ შემდგომ განხორციელებას სატრანსპორტო მანქანებისა და საწარმოო ტექნოლოგიური ტრანსპორტის დახმარებით და სატრანსპორტო ლოგისტიკური სისტემების გამოყენებით;
- განსაზღვრავს ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის უსაფრთხოებას საგზაო ინფრასტრუქტურის არსებული პრობლემებისა და მათი განვითარების გათვალისწინებით, მათ ტექნიკურ მდგომარეობას და ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობას;
- სისტემურად აანალიზებს (საავტომობილო, სარკინიგზო) სატრანსპორტო საშუალებათა პროექტირების, დიაგნოსტირების, სერვისისა და საიმედოობის კონცეფციებს, კონსტრუქციულ სრულყოფას ან/და მოდერნიზირებას;
- გადაწყვეტს ძრავიანი ტრანსპორტის ექსპლუატაციის პროცესში კომპლექსურ პრობლემებს მათემატიკური მოდელების ან სიმტიკიცეზე გაანგარიშების მეთოდებით;
- ჩატარებული სათანადო ანალიზისა და კვლევის საფუძველზე, ძრავიან ტრანსპორტზე უსაფრთხოებისა და ავტომატიზაციის თანამედროვე სისტემების დანერგვით აყალიბებს, მოძრაობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის გადაუდებელ პრევენციულ კომპლექსურ ღონისძიებებს;
- აფასებს ექსპლუატაციის კონკრეტულ პროცესში არსებულ პრობლემებს საავტომობილო და სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებათა განვითარების პერსპექტივებს მულტიდისციპლინარულ გარემოში მათი შემდგომი გამოყენების შესაძლებლობებს.

პროგრამის შედეგებში გათვალისწინებულია დარგის სპეციფიკა და საქართველოს შრომის ბაზარზე ამ კვალიფიკაციის და კომპეტენციების მქონე სპეციალისტების მოთხოვნილება, რაც პროგრამის კურსდამთავრებულს აძლევს შესაბამისი კვალიფიკაციით დასაქმების შესაძლებლობას.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებაში ჩართული არის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში ასახულია, როგორ უნდა შეფასდეს სწავლის შედეგები პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება მოიაზრებს პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდების გამოყენებას. შეფასებისას გამოყენებულია როგორც ტესტური დავალებები, ასევე სიმულაცია და სხვა

მეთოდები. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, დარგის სპეციფიკის მიხედვით. შეფასებაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად მონაწილეობენ პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.

უნივერსიტეტის, ფაკულტეტის და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუებით დადგინდა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება მოხდა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე. სადაც გათვალისწინებული იყო აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები.

უნივერსიტეტში არსებობს პრაქტიკა, რომ სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. ინტერვიუებით დადგინდა, რომ ეს პრაქტიკა იქნება გამოყენებული წარმოდგენილი კლასტერის პროგრამების მიმართაც.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

წარმოდგენილი „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად. სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას და უნარებს, რომლებსაც სტუდენტი ფლობს სამაგისტრო პროგრამის დასრულებისას. სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება კლასტერში შემავალი პროგრამების მიზნებს, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ შესაბამისი დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებს, „სწავლის სფეროების კლასიფიკატორით“ განსაზღვრულ სწავლის სფეროს შინაარსს (0719.1.7 სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია) და ეფუძნება სფეროს განვითარების ტენდენციებს.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და იძლევა შინაარსით გათვალისწინებული ძირითადი ცოდნის მიღების, უნარების გამომუშავების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის განვითარების შესაძლებლობას.

საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით:

- განსაზღვრავს სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის მოთხოვნებს, ახალი კვლევითი, ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, როგორც აკადემიური, ასევე პროფესიული საზოგადოებისთვის აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით, ქართულ და ინგლისურ ენაზე;
- ანალიზებს სამეცნიერო კომუნიკაციის გაუმჯობესების მეთოდებს თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით;
- ახდენს სწავლების თანამედროვე თეორიების კლასიფიცირებას სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის დარგში;
- განიხილავს სამრეწველო ტექნიკისა და ტექნოლოგიური პროცესების პერსპექტიული განვითარების უახლეს მეთოდებს, კომპლექსურ და მულტიდისციპლინურ გარემოში სამუშაოთა წარმოებისათვის;
- აფასებს თანამედროვე მანქანა-დანადგარებისა და ავტომატიზებული კომპლექსების წარმოების შერჩეულ მეთოდებსა და ტექნოლოგიებს მდგრადი განვითარებისა და გარემოზე ზემოქმედების ქრილში;

- იყენებს მექანიზმების, მექანიკური სისტემების, ტექნოლოგიური პროცესებისა და საწარმოთა დაგეგმარების უახლეს მიღწევებს, ორიგინალური იდეების განვითარებისა და რეალიზებისათვის ტექნოლოგიური პროცესების ხელმძღვანელობასა და მართვაში;
- გეგმავს უცნობ ან მულტიდისციპლინურ გარემოში მექანიზმების, დანადგარების, ავტომატიზებული კომპლექსების, ტექნოლოგიური პროცესების განვითარებასთან დაკავშირებული რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალ, ორიგინალურ გზებს, აგრეთვე, კვლევებს დამოუკიდებლად, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;
- აყალიბებს სამრეწველო ინჟინერიის პრაქტიკულ და მეცნიერულ სამუშაოებთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ საკუთარ მოსაზრებებს, არგუმენტებს და შედეგებს, უახლესი კვლევების კრიტიკული ანალიზის, ინფორმაციის ინოვაციური სინთეზისა და შეფასების საფუძველზე;
- წარმართვს სამრეწველო ინჟინერიის ტექნიკისა და ტექნოლოგიური პროცესების კვლევის სამუშაოებს კომპლექსურ, მულტიდისციპლინურ გარემოში და ადაპტირებს ახალი სტრატეგიული მიდგომებითა და ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვით;
- წვლილი შეაქვს სამრეწველო საწარმოთა განვითარებაში და მართავს საკუთარ სწავლას დამოუკიდებლად, სამრეწველო ინჟინერიის სფეროსა და მომიჯნავე მეცნიერებებში.

აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთარებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავდა მათი ჩართულობით და გათვალისწინებული იქნა შრომის ბაზრის მოთხოვნები, პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას – სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის მაგისტრი.

პროგრამა უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას. მათ რეალური შესაძლებლობა ექნებათ, რომ სრულად შეიძინონ კვალიფიციური ინჟინერ–ტექნოლოგისათვის აუცილებელი კომპეტენციები, ცოდნა და პრაქტიკული უნარები. წარმოდგენილი პროგრამა არის აღნიშნული სპეციალისტისათვის აუცილებელ კომპეტენციებზე და სწავლის შედეგზე ორიენტირებული პროგრამა, რომელშიც გონივრულად არის გათვალისწინებული ძირითადი მიმართულებების მოთხოვნები.

საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური, ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და იძლევა შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

დამსაქმებელთა ჩართულობა პროგრამის განვითარების პროცესში გამოიხატება მათი რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებაში, რამაც მათი აზრით პროგრამა გახადა უფრო ეფექტური და შრომის ბაზარზე მოთხოვნადი ცოდნისა და უნარების შესაბამისი, რაც კონკურენტუნარიანი კადრების აღზრდის წინაპირობაა. პროგრამა მათ მიერ შეფასდა დადებითად.

სპეციალისტებზე მოთხოვნის ზრდის შემთხვევაში (რისი ტენდენციაც ბოლო წლებში შეინიშნება), პროგრამა უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას. მათ რეალური შესაძლებლობა ექნებათ, რომ შეიძინონ წარმატებული პრაქტიკული საქმიანობისთვის აუცილებელი კომპეტენციები, მათ შორის ცოდნა და უნარები. წარმოდგენილი პროგრამა არის დარგისთვის აუცილებელ კომპეტენციებზე ორიენტირებული, რომელშიც გონივრულად არის გათვალისწინებული ძირითადი მიმართულებების მოთხოვნები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“;
- <https://gtu.ge/quality/Files/Pdf/scavlebis%20metodebi%20da%20aqtivobebi.pdf>;

- „ტრანსპორტი“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა და მისი დანართი (პროგრამის სწავლის შედეგის და პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა);
- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
- დამსაქმებლისა და შრომის ბაზრის კვლევა;
- სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- ფაკულტეტის და დეპარტამენტის ოქმები;
- სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ვებ-გვერდი <https://gtu.ge/Stmm/>;
- რექტორის ბრძანება „საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიების შესახებ“;
- კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;
- საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი <http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=UserReport&ID=30ad9f6d-7c9e-48f2-b90c-d56bc719d0bd>

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)
რეკომენდაცი(ებ)ი:
რჩევ(ებ)ი:
პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)
რეკომენდაცი(ებ)ი:
რჩევ(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	1.2	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამის სწავლის შედეგები	1	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა „ტრანსპორტი“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა					

პროგრამა 2 „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
---	-------------------------------------	--------------------------	--------------------------	--------------------------

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 ტრანსპორტი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა⁹

კლასტერში გაერთიანებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს და საშუალებას იძლევა დადგინდეს, რამდენად მიაღწიეს კურსდამთავრებულებმა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. აღნიშნული დადასტურდა კურსდამთავრებულებთან გასაუბრების დროს.

პროგრამების სწავლის შედეგების შეფასებისას გათვალისწინებულია როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. პროგრამის პაკეტს თან ახლავს კითხვარები და გამოკითხვის შედეგები, რომელშიც მონაწილეობა აქვს მიღებული სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს და აკადემიურ პერსონალს. პროგრამების ხელმძღვანელებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ კითხვარების რაოდენობრივი ანალიზის საფუძველზე ეტაპობრივად განიხილებოდა პროგრამის არსებული მდგომარეობა და გასაუმჯობესებელი მხარეები.

⁹ საჭიროების შემთხვევაში აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან. საჭიროების მიხედვით, პროგრამების რაოდენობის შესაბამისად, გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის მწკრივები (მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის, პროგრამის დანართში 1,2 გაწერილია პროგრამის სწავლის შედეგების კავშირი და პროგრამაში არსებულ სასწავლო კურსებს და პროგრამის მიზნებს შორის. დოკუმენტში გაწერილია სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარების მექანიზმი. საგანმანათლებლო პროგრამის მიერ შეთავაზებული ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სასწავლო კურსების მიერ კონკრეტული სწავლის შედეგის განვითარების უზრუნველყოფა სამი პროგრესული დონით: 1 – გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება.

ინტერვიუს პროცესში დადასტურდა, რომ პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იღებს მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის, სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, თუ რამდენად მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ტრანსპორტი“;
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“;
- პროგრამების სწავლის შედეგების რუქა (დანართი 1, 2).

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)
რეკომენდაცი(ებ)ი:
რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)
რეკომენდაცი(ებ)ი:
რჩევ(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	1.3	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა „ტრანსპორტი“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	1	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	2	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

➤ პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

➤ პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში გარეთიანებული საგანმანათლებლო პროგრამები შედგენილია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი შესაბამისად, რაც დასტურდება პროგრამის პაკეტზე თანდართული დოკუმენტაციით (დანართი 3).

პროგრამები აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის ECTS სისტემის შესაბამისად. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს. 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. პროგრამის კრედიტების განაწილება წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში. პროგრამის ხანგრძლივობაა 2 წელი. აკადემიური წელი შედგება 2 სემესტრისაგან და მოიცავს 30 სასწავლო კვირას. თითოეული სემესტრის ხანგრძლივობა - 15 სასწავლო კვირა, რომელსაც ემატება სასესიო (შუალედური და დასკვნითი გამოცდებისათვის გათვალისწინებული კვირები. სასწავლო გეგმაში კრედიტების სემესტრული რაოდენობა შეადგენს 30 კრედიტს. სასწავლო

გეგმაში სასწავლო კურსების განაწილება, თანმიმდევრობა და წინაპირობები შესაბამისობაშია სასწავლო კურსების სილაბუსებში გაწერილ კრედიტების განაწილებასთან.

საგანმანათლებლო პროგრამები შედგენილია ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებისგან. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები წარმოდგენილია სავალდებულო და სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების სახით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა „ტრანსპორტი“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

ტრანსპორტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის, შინაარსის, სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუქის გაანალიზების შედეგად, ასევე პროგრამის ხელმძღვანელთან, განმახორციელებელ პერსონალთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სტრუქტურა შეესაბამება სწავლების საფეხურს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტების თანმიმდევრობა ლოგიკურად არის დალაგებული, სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობა ადეკვატურია.

პროგრამის შინაარსის სწავლის შედეგებთან შესაბამისობა დასტურდება სწავლის შედეგების რუქით. წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის ძირითადი სფეროს სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. გამომდინარე აქედან, პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მაგისტრატურის საფეხურის აღმწერის დონეს.

პროგრამის კრედიტების განაწილების ანალიზიდან ჩანს, რომ სავალდებულო საგნები უზრუნველყოფს სპეციალიზაციისთვის საჭირო გაღრმავებული ცოდნისა და უნარების შექმნა/გამომუშავებას, რითაც შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი ითვალისწინებს მაგისტრის საფეხურის დონის შესაბამისი სპეციალისტის მომზადებას.

წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტზე და ინსტიტუციის წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის შემუშავების პროცესი განხორციელებულია სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობით, რაც ასევე დადასტურდა განმახორციელებელ პერსონალთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად.

მნიშვნელოვანია პროგრამის მიერ სწავლის სფეროსა და საფეხურის თავისებურებებიდან გამომდინარე ინტერნაციონალიზაციის ძირითადი საკითხების გათვალისწინება. აღნიშნულის მიზნით პროგრამაში სასურველია გათვალისწინებული იყოს შესაბამისი აქტივობები და კომპონენტები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ შედგენილია ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებისგან. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები წარმოდგენილია სავალდებულო და სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების სახით, შემდეგი განაწილებით:

სულ-90 კრედიტი, მათ შორის სპეციალობის არჩევითი კურსები 10 კრედიტი, სამაგისტრო პრაქტიკა სამრეწველო ინჟინერიასა და ტექნოლოგიაში 13 კრედიტი. კვლევითი კომპონენტის მოცულობაა 30 კრედიტი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის, შინაარსის, სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუქის გაანალიზების შედეგად, ასევე პროგრამის ხელმძღვანელთან, განმახორციელებელ პერსონალთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სტრუქტურა შეესაბამება სწავლების საფეხურს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტების თანმიმდევრობა ლოგიკურად არის დალაგებული, დაცულია მარტივიდან რთულზე თანდათანობით გადასვლის პრინციპი, სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობა ადეკვატურია.

პროგრამის ლოგიკურად აგებული სტრუქტურა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებისათვის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია, პროგრამის შინაარსის სწავლის შედეგებთან შესაბამისობა დასტურდება სწავლის შედეგების რუქით, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი, რომელი კურსი ან/და პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი სწავლის რომელ შედეგზე გადის და პროგრამის შინაარსით სწავლის ყველა შედეგის დაფარვის მონიტორინგის საუკეთესო საშუალებაა. წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის ძირითადი სფეროს სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. გამომდინარე აქედან, პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მაგისტრატურის საფეხურის აღმწერის დონეს.

პროგრამის კრედიტების განაწილების ანალიზიდან ჩანს, რომ სავალდებულო საგნები უზრუნველყოფს სპეციალიზაციისთვის საჭირო გაღრმავებული ცოდნისა და უნარების შექმნა/გამომუშავებას, რითაც შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი ითვალისწინებს ღრმა პრაქტიკული უნარებით აღჭურვილი მაგისტრის საფეხურის დონის შესაბამისი სპეციალისტის მომზადებას.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა დადარებით, ანალიზით და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებით შესაბამისობაშია მოყვანილი ანალოგი წარმატებული პრაქტიკის მქონე საზღვარგარეთ არსებულ პროგრამებთან. პროგრამის პაკეტს თან ახლავს ანალოგ პროგრამებთან შესაბამისობის დოკუმენტი. სასურველი იქნებოდა, რომ დადარების დოკუმენტში (დანართი 12.3) სასწავლო კურსები დალაგებული იყოს მსგავსების მიხედვით, რათა უფრო ცხადად და მარტივად მოხდეს დადარება და ანალიზი.

წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტზე და ინსტიტუციის წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის შემუშავების პროცესი განხორციელებულია სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობით, რაც ასევე დადასტურდა განმახორციელებელ პერსონალთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად.

მნიშვნელოვანია პროგრამის მიერ სწავლის სფეროსა და საფეხურის თავისებურებებიდან გამომდინარე ინტერნაციონალიზაციის ძირითადი საკითხების გათვალისწინება, რაც ხელს შეუწყობს პროგრამაში ჩართული პერსონალის პროფესიულ განვითარებას და პროგრამის სტუდენტების ცოდნის დახვეწას, გაღრმავებას და თვალსაწიერის გაფართოვებას. აღნიშნულის მიზნით პროგრამაში სასურველია გათვალისწინებული იყოს შესაბამისი აქტივობები და კომპონენტები, როგორცაა: უცხოენოვანი ლიტერატურის და სამეცნიერო სტატიების გამოყენება, საერთაშორისო კონკურსებში და პროგრამებში მონაწილეობა და სხვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ტრანსპორტი“;
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“;
- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიში;
- სწავლის სფეროების კლასიფიკატორი: <https://eqe.ge/ka/page/parent/787/erovnuli-kvalifikatsiebis-charcho>);
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, ინსტიტუციის წარმომადგენელთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

- სასურველია პროგრამების ინტერნაციონალიზაციის დონის ამაღლების მიზნით გაღრმავდეს ურთიერთობა საზღვარგარეთ არსებული ანალოგი პროგრამების განმახორციელებელ ინსტიტუტებთან და დაიგეგმოს შესაბამისი აქტივობები როგორცაა: უცხოენოვანი ლიტერატურის და სამეცნიერო სტატიების გამოყენება, საერთაშორისო კონკურსებში და პროგრამებში მონაწილეობა და სხვა.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

1.

პროგრამა 2 („სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

1. სასურველია წარმატებული პრაქტიკის მქონე საზღვარგარეთ არსებულ პროგრამებთან დადარების დოკუმენტში (დანართი 12.3) სასწავლო კურსები დალაგებული იყოს მსგავსების მიხედვით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა შინაარსი	1.4	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა „ტრანსპორტი“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	1	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	2	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ტრანსპორტი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის ანალიზის შედეგად დგინდება, რომ სასწავლო კურსების სწავლის შედეგები და კრედიტები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსის შედეგების სამაგისტრო საფეხურთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული არის ეროვნული კვალიფიკაციათა აღმწერი. თითოეული კურსის მოცულობა განსაზღვრული არის კრედიტებში. სასწავლო კურსის დაგეგმვისას გათვალისწინებულია, როგორც საკონტაქტო, ასევე არასაკონტაქტო დამოუკიდებელი მუშაობის საათები, რომელიც რელევანტურია კურსში გამოსაყენებელი სწავლა სწავლების მეთოდების. სტუდენტთა შეფასების შესაბამისი კომპონენტები გაწერილი არის შეფასების რუბრიკაში. ყოველი კურსის სილაბუსში მითითებულია სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურული წყაროები. ზოგ შემთხვევაში მითითებულია ასევე სხვადასხვა ავთენტური წყაროები (სამეცნიერო პუბლიკაციები, მონოგრაფია და სხვა).

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ძირითადად შესაბამისობაშია პროგრამაში არსებულ სწავლის შედეგებთან, რაც წარმოდგენილია პროგრამის სწავლის შედეგების და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობის ცხრილის სახით.

სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია მრეწველობის დარგის აქტუალურ მიღწევებზე, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსებში მითითებულია ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ადეკვატურია სასწავლო კურსის მიზანთან და სწავლის შედეგებთან და სრულად განთავსებულია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში ბეჭდური და/ან ელექტრონული სახით, რაც დადასტურდა სტუ-ს ბიბლიოთეკის ელექტრონულ ბაზებში გადამოწმებით.

სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურებთან. პროგრამის სავალდებულო კომპონენტის სწავლის შედეგები წარმოადგენს პროგრამის სწავლის შედეგების ნაწილს და შეესაბამება შინაარსს. პროგრამისთვის შედგენილია კურიკულუმის რუკა, რომელიც ადასტურებს სასწავლო კურსების ბმას საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგებთან. აღნიშნულს ადასტურებს სწავლის შედეგების რუკაში გაწერილი კავშირი სასწავლო კურსებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის. სასწავლო კურსების სწავლის შედეგები პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებაში შეფასებულია როგორც: 1 - შესავალი კურსი, 2 - განმავითარებელი, 3 - საბოლოო სწავლის შედეგის მაფორმირებელი.

საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსების სპეციფიკის, კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით განსაზღვრულია მოცულობა კრედიტებში და შესაბამისი საათების რაოდენობა. სილაბუსებში დაკონკრეტებულია საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი საათების რაოდენობა, რომელთა შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას.

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსი გაწერილია სილაბუსებში, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: კურსის დასახელება, კურსის ტიპი, კრედიტების რაოდენობა შესაბამისი საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების მითითებით, კურსის განმახორციელებელი, კურსის მიზანი, სასწავლო კურსის ფორმატი, სწავლის შედეგები, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, სწავლა/სწავლების მეთოდები, სასწავლო რესურსები, კურსის შინაარსი და სხვა. სასწავლო კურსის სილაბუსით დეტალურად არის აღწერილი სტუდენტის შეფასების ფორმები, მეთოდები და რუბრიკები.

სასწავლო კურსებისა და ზოგადად სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით, სემესტრის ბოლოს ხდება სტუდენტთა გამოკითხვა, რომელსაც ატარებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი. აღნიშნული დადასტურდა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვით.

გამოკითხვის მიზანია შეფასდეს სასწავლო კურსის შინაარსის შესაბამისობა პროგრამის შინაარსთან, სწავლა/სწავლებისა და შეფასების მეთოდების რელევანტურობა სილაბუსთან, გამოყენებული ლიტერატურის ხელმისაწვდომობა და სასწავლო კურსის განმახორციელებელი მასწავლებლის კომპეტენტურობა. ასევე სასწავლო პროცესთან და მის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ტრანსპორტი“;
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, ინსტიტუციის წარმომადგენელთან, სტუდენტებთან, დამსაქმებელებთან და კურსდამთავრებულებთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)
რეკომენდაცი(ებ)ი:
რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)
რეკომენდაცი(ებ)ი:
რჩევ(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი სასწავლო კურსი/საგანი	1.5	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 „ტრანსპორტი“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა		<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 2 „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
---	-------------------------------------	--------------------------	--------------------------	--------------------------

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამის ობაშია მოთხოვნებთ ან	მეტწილად შესაბამისობა შეა მოთხოვნებთა ნ	ნაწილობრ ვ შესაბამისობა შეა მოთხოვნებთა ნ	არ არის შესაბამისობა ში მოთხოვნებთა ნ
პროგრამა 1 „ტრანსპორტი“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 „ტრანსპორტი“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აკადემიურ პროგრამებზე ჩარიცხვა რეგულირდება უმაღლესი განათლების შესახებ კანონის უნივერსიტეტის წესდებით და სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის შესაბამისად. სამაგისტრო საფეხურზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელმაც ჩააბარა საერთო სამაგისტრო და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები. უნივერსიტეტის მიერ დადგენილი გამოცდის ტესტები განთავსებულია სწავლების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე. ამასთან ერთად გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე სტუდენტმა უნდა წამოადგინოს ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ასეთის არ არსებობის შემთხვევაში მან უნდა ჩააბაროს გამოცდა ინგლისურ ენაში უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში.

პროგრამის კურიკულუმში მითითებული დაშვების წინაპირობები და პროცედურები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა რეგულირდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის

წესდების, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციის და პროგრამით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა. მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩარიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები). გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის ვებგვერდზე <http://gtu.ge/Study-Dep/> გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. მაგისტრატურაში ჩარიცხვის მსურველს უნდა გააჩნდეს ინგლისური ენის B2 დონის დამადასტურებელი დოკუმენტი/სერტიფიკატი ან უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი B2 დონის ათვისების დამადასტურებელი დოკუმენტი. იმ შემთხვევაში თუ პირმა ვერ წარმოადგინა შესაბამისი სერტიფიკატი, უნდა ჩააბაროს გამოცდა სტუ-ს საგამოცდო ცენტრში უცხოურ (ინგლისურ) ენაში. პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ტრანსპორტი“;
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	2.1	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა „ტრანსპორტი“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	1	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	2	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული სამაგისტრო პროგრამების „ტრანსპორტი“ და „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ სწავლის შედეგები საფეხურის შესაბამისად უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. პროგრამებში არსებული პროფესიული პრაქტიკა სტუდენტებს საშუალებას მისცემს განავითარონ პრაქტიკული უნარები, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მათ წარმატებულ პროფესიულ საქმიანობას. წარმოდგენილი პროგრამების შემთხვევაში გამოყენებულია საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკა, როცა პრაქტიკის კურსი წარმოდგენილი არის დამოუკიდებელი კურსის სახით (ე.წ პირველი მოდელი).

პრაქტიკის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ პრაქტიკის კომპონენტი დაგეგმილია და განვითარდება თანმიმდევრულად, რაც მჭიდროდ იქნება დაკავშირებული პროგრამის სწავლის შედეგებთან. პრაქტიკის სილაბუსებში დაწვრილებით არის გაწერილი პრაქტიკის გეგმა და აქტივობები. აღნიშნული კომპონენტის განხორციელების ადგილად ძირითადად წარმოდგენილია დამსაქმებელი ორგანიზაციები, რომელთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები. სტუდენტებს ენიშნებათ ხელმძღვანელები როგორც უნივერსიტეტიდან, ასევე მიმღები ორგანიზაციიდან. სტუდენტის შეფასებაში მონაწილეობს ორივე მხარის წარმომადგენელი.

კვლევითი კომპონენტის განხორციელება ხდება დასკვნით ეტაპზე და მიღებული უნარები დასტურდება სამეცნიერო კვლევითი ნაშრომით. ნაშრომში აკუმულირებულია პროგრამის კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგები. მნიშვნელოვანია, რომ კვლევითი ნაშრომის

მომზადებას წინ უძღვის კვლევითი უნარების განმავითარებელი თეორიული და პრაქტიკული კურსები, რომელიც სტუდენტებს ეხმარება კვლევის მეთოდების შესწავლასა და კვლევითი ინტერესების ჩამოყალიბებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ტრანსპორტი“;
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“;
- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიში;
- სწავლის სფეროების კლასიფიკატორი: <https://eqe.ge/ka/page/parent/787/erovnuli-kvalifikatsiebis-charcho>);
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)
რეკომენდაცი(ებ)ი:
რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)
რეკომენდაცი(ებ)ი:
რჩევ(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	2.2	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა „ტრანსპორტი“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა		<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა		<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა სწავლების მეთოდების გამოყენებით, რომელიც ორიენტირებული არამხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარჩვევების გამომუშავებაზე. თითოეულ სილაბუსში წარმოდგენილი სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება კურსის შინაარსს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუების დროს გაირკვა, რომ სწავლის მეთოდები ძირითადად შეირჩა სასწავლო კურსის მიზნებიდან და მისაღები შედეგებიდან გამომდინარე. პერსონალი საჭიროდ თვლის, რომ სტუდენტები გახდნენ პროცესების აქტიური მონაწილე, რაც მათ საშუალებას მისცემს იყვნენ ავტონომიურები და გამოუმუშავდეთ ტრანსფერული უნარები. ინტერვიუების დროს ასევე გამოიკვეთა, რომ სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები ყურადღებას ამახვილებენ იმ გარემოებაზე, რომ მეთოდების შერჩევის დროს ყურადღება მიექცეს პრობლემაზე და კვლევაზე დაფუძნებულ სწავლებას, რაც სტუდენტებს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად დაგეგმვის და განხორციელების უნარს. საჭიროების შემთხვევაში განმახორციელებელი პერსონალი მზად არის რომ სპეციალური საჭიროების მქონე პირებისათვის მოახდინონ ინდივიდუალური გეგმის და სწავლება-სწავლის მეთოდების შერჩევა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ტრანსპორტი“;
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“;
- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, ინსტიტუციის წარმომადგენელთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)
რეკომენდაცი(ებ)ი:
რჩევ(ებ)ი:
პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)
რეკომენდაცი(ებ)ი:
რჩევ(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	2.3	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლება-სწავლის მეთოდები	2.3				
პროგრამა „ტრანსპორტი“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	1	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	2	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო სისტემების და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტზე შეფასება ხორციელდება მოქმედ მარეგულირებელ დოკუმენტებში გაწერილი დოკუმენტების შესაბამისად. სტუდენტთა შეფასება არის მრავალკომპონენტიანი და უზრუნველყოფს თითოეული კურსის სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. სტუდენტთა შეფასება ეფუძნება 4 ძირითად პროცესს: ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა, გამჭვირვალეობა.

შეფასების სისტემა სასწავლო კომპონენტის შემთხვევაში მოიცავს ორ ფორმას: შუალედურს და დასკვნითს. თითოეული შეფასებისათვის დადგენილია მინიმალური კომპეტეციის ზღვარი.

შეფასების კრიტერიუმებით დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. შეფასების ფორმები მოიცავს სხვადასხვა კომპონენტებს (მაგ: ზეპირი/წერიტი გამოცდა, გამოკითხვა, პრაქტიკული სამუშაო, პროექტი და სხვა). შეფასების საერთო ქულა არის 100, სადაც დასკვნითი შეფასების წილი არის 40 ქულა, ხოლო 60 ქულა შედგება ორი კომპონენტისაგან: სტუდენტის მიმდინარე აქტივობა 30 ქულა, შუალედური (შუასემესტრული გამოცდა) – 30 ქულა. დასკვნითი/დამატებითი გამოცდა - 40 ქულა, რომელიც დაძლეულად ითვლება გამოცდის მაქსიმალური 40 ქულიდან არანაკლებ 21 ქულის მიღების შემთხვევაში. შუალედური შეფასების (მიმდინარე აქტივობები და შუასემესტრული გამოცდა) მინიმალური ჯამური დადებითი შეფასებაა 30 ქულა.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით), რისთვისაც გამოიყენება შეფასებისთვის რელევანტური მეთოდები და კრიტერიუმები.

პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება საქართველოში მოქმედი 100-ქულიანი სისტემით, რომლის:

1) დადებითი შეფასებებია:

- - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა;

2) უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების სისტემა (ფორმები, კომპონენტები) გაწერილია პრაქტიკულად ყველა სილაბუსში. შეფასების სისტემა გამჭვირვალეა და სტუდენტებისათვის წინასწარ არის ცნობილი. შეფასების შედეგები სტუდენტებს მიეწოდებათ დაუყოვნებლივ არსებული აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემის მეშვეობით. ინტერვიურებისას დადგინდა, რომ სტუდენტები დადებითად აფასებენ აღნიშნული სისტემის მუშაობას.

პროგრამებში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ ისინი ფლობენ სათანადო ცოდნას შეფასების თანამედროვე მეთოდებთან დაკავშირებით.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისათვის გამოყენებული არის მრავალსაპექტროული შეფასება, რაც ითვალისწინებს დაცვის და შეფასების გამჭვირვალე და სამართლიან პროცედურებს. დაცვის პროცესი ეფუძნება კოლეგიალურ შეფასებას კომისიური წესით. კომისიის შემადგენლობაში შედიან, როგორც აკადემიური ისე მოწვეული პერსონალი. ფაკულტეტზე არსებობს შემუშავებული დოკუმენტი, სადაც გაწერილია ნაშრომის შესრულების აკადემიური სტილის მოთხოვნები, რომელიც წინასწარ არის ცნობილი სტუდენტებისათვის და გაეთვალისწინება სტუდენტთა ნაშრომის შეფასების დროს. ამასთან ერთად შემუშავებულია სამაგისტრო ნაშრომების შეფასების დროს გამოიყენება აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის აღმოჩენის და რეაგირების მექანიზმები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ტრანსპორტი“;
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“;

- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“ სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 სექტემბერის №01-05- 04/254 დადგენილება;
- სტუ-ის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემა https://leqtori.gtu.ge/2019_2020/I/B/info;
- სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრების წესი <https://gtu.ge/News/13613/>;
- შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები <https://gtu.ge/quality/axali/shefasebisforma.pdf>;
- სტუ-ში პლაგიატზე შემოწმების წესი: construction.gtu.ge/wp-content/uploads/2018/03/plagiatis_;
- ardebobaze_shemowmebis_wesi.pdf;
- გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან და განმახორციელებელ პერსონალთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)
რეკომენდაცი(ებ)ი:
რჩევ(ებ)ი:
პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)
რეკომენდაცი(ებ)ი:
რჩევ(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი სტუდენტების შეფასება	2.4	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა „ტრანსპორტი“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	1	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	2	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, ათვისების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა „ტრანსპორტი“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	☒	☐	☐	☐
პროგრამა „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	☒	☐	☐	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუ-ში სტუდენტები იღებენ სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებით. სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად კლასტერში გაერთიანებულ პროგრამის სტუდენტებს

საშუალება აქვთ მიიღონ საჭირო ინფორმაცია, კონსულტაცია და დახმარება, როგორც ადმინისტრაციული, ასევე აკადემიური პერსონალისგან. ყოველი სემესტრის სასწავლო ცხრილის ფორმირებისთანავე, პედაგოგი ადგენს ინდივიდუალურ საკონსულტაციო გრაფიკს, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტისთვის. სასწავლო სემესტრის დასაწყისში, შესავალ ლექციაზე, სტუდენტი იღებს სრულ ინფორმაციას სილაბუსით გათვალისწინებული მოთხოვნების შესახებ. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები, მოქმედებს სასწავლო პროცესის მართვის ერთიანი პროგრამა სადაც სტუდენტებს ერთ სივრცეში აქვთ ყველა მათთვის საჭირო ინფორმაცია. გაუმჯობესების/განახლების პროცესშია ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

ვიზიტის დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ნებისმიერ დროს, საუნივერსიტეტო სივრცეში თუ ონლაინ რეჟიმში, შეუძლიათ მიიღონ ლექტორებისგან ნებისმიერი კონსულტაცია მათ საჭიროებებიდან გამომდინარე.

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამების სტუდენტებს საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში. დასახელებულ იქნა შიდა საუნივერსიტეტო 84 და 85 კონფერენციები, ასევე აზერბაიჯანის ტექ. უნივერსიტეტის კონფერენცია, პოლონეთის ტექ. უნივერსიტეტთან ერთად 3 წელიწადში ერთხელ იმართება საერთაშორისო კონფერენცია.

უნივერსიტეტში მოქმედებს ახალგაზრდა მკვევარების წახალისების პროგრამები, სამეცნიერო პროგრამა სადაც ხელმძღვანელთან ერთად სტუდენტს შესაძლებლობა აქვს კვლევითი გრანტის მოპოვების საშუალება, ასევე აფილირებული პროფესორების ჭრილში სტუდენტი და ხელმძღვანელი აქვეყნებენ სამეცნიერო სტატიებს.

სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ სასწავლო, კვლევითი ექსპერტული ლაბორატორიებით, კომპიუტერული სიმულაციური ლაბორატორიით, რომელიც საქართველოს რკინიგზის დახმარებით მოეწყო. სამრეწველო მიმართულებით საერთაშორისო კომპანიების მიერ მოწოდებული იქნა სხვადასხვა თანამედროვე სამაცივრე დანადგარები, რომლებზეც სტუდენტებს საშუალება აქვთ აწარმოონ ბაზრის მიერ წაყენებული მოთხოვნების შესაბამისი პრაქტიკული სამუშაოები.

აღსანიშნავია დამსაქმებლების აქტიური ჩართულობა პროგრამის განვითარებაში, მათი თქმით ისინი კმაყოფილები არიან პროგრამით და პროგრამის სტუდენტების მომზადების დონით. მათ მუდმივი კავშირი აქვთ პროგრამის ხელმძღვანელებთან და ატყობინებენ კონკრეტული ვაკანსიების შესახებ. სტუდენტები პროგრამის ფარგლებში გადიან სტაჟირებას სხვადასხვა პროფილურ ორგანიზაციაში.

ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. ვიზიტზე გასაუბრებისას აღინიშნა გამართული დასაქმების ფორუმების შესახებ სადაც წარმოდგენილ იყვნენ 90 კომპანია 500 ამდე ვაკანსიით, დასაქმებულ იქნა არაერთი სტუდენტი. სტუდენტების თქმით ფაკულტეტი მუდმივად აწვდის მათ ინფორმაციას სხვადასხვა ვაკანსიების შესახებ.

პროგრამის სტუდენტები იღებენ ინფორმაციას საერთაშორისო გაცვლით პროგრამებზე. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მათთვის ცნობილია უნივერსიტეტში არსებული გაცვლითი პროგრამების შესახებ, მაგრამ მათგან მხოლოდ ორი სტუდენტი იყო ჩართული ERASMUS+ გაცვლით პროგრამაში. ასევე, პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ შეინიშნებოდა უცხო ენის პრობლემა - შესაბამისად მცირე იყო საერთაშორისო პროგრამებში ჩართულობა, აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად, პროგრამებში გაიზარდა უცხო ენების კრედიტების რაოდენობა. აღსანიშნავია რომ, უნივერსიტეტს საკმაოდ მრავალფეროვანი თანამშრომლობა აქვს საერთაშორისო

პარტნიორ უნივერსიტეტებთან, ამრიგად სასურველია სტუდენტების ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართვის უზრუნველყოფის და მხადაჭერის გაძლიერება.

სტუდენტები ჩართული იყვნენ პროგრამების თვითშეფასების პროცესში და მათი რეკომენდაციით დაემატა სასწავლო კურსი მოდელირება.

ვიზიტის დროს გასაუბრებისას სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა გამოხატეს თავიანთი დადებითი დამოკიდებულება პროგრამების მიმართ. ისინი კმაყოფილნი არიან სწავლების ხარისხით და სტუდენტური მომსახურებით.

სტუ რეგულარულად ატარებს სტუდენტების კმაყოფილების გამოკითხვებს. გამოკითხვებში ჩართულობა დაახლოებით 15- 20 პროცენტს შეადგენს. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ სტუდენტების კმაყოფილების დონე საშუალოზე მაღალია. მზაობა პროგრამების განვითარებაში მონაწილეობის მაღალი. აღსანიშნავია, კურსდამთავრებულთა კითხვარი რომელშიც არ შედის სამაგისტრო თემის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის შეფასება, შესაბამისად 3.2 სტანდარტში გაცემულია რჩევა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დაწესებულებაში ვიზიტისას სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან ჩატარებული ინტერვიუები;
- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროგრამა, კურსების სილაბუსები;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ელექტრონული სწავლების პორტალი elearning.gtu.ge;
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)
რეკომენდაცი(ებ)ი:
რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)
რეკომენდაცი(ებ)ი:
რჩევ(ებ)ი:
.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერი სერვისები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 „ტრანსპორტი“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

➤ სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.

➤ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამულ კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამების მაგისტრანტებს ჰყავთ დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

სტუ-ს შემუშავებული აქ მაგისტრანტის ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის უფლება-მოვალეობების მარეგულირებელი დოკუმენტები და მათი დანიშვნის, შეცვლის და ასევე ზედამხედველობის/თანაზედამხედველობის პროცესის რეგულირების მარეგულირებელი დოკუმენტები. მაგისტრანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სტუ-ის შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, მოწვეული პერსონალი/პედაგოგი (დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი), ემერიტუსი, სტუ-თან ინტეგრირებული სამეცნიერო ინსტიტუტის/ცენტრის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მთავარი ან უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. მაგისტრანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სხვა დაწესებულების დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე თანამშრომელი, თუ სტუ-სა და ამ დაწესებულებას შორის გაფორმებულია ხელშეკრულება/მემორანდუმი.

მაგისტრანტის ხელმძღვანელი მაგისტრანტთან შეთანხმებით ადგენს პერსონალურ სამუშაო გეგმას სადაც უნდა იყოს მითითებული სამაგისტრო ნაშრომის დასახელება, სავალდებულო და არჩევითი საგნების/მოდულების/კონცენტრაციების ჩამონათვალი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტით გათვალისწინებული ჩასატარებელი ღონისძიებები. წლის დასაწყისში მუშავდება სამაგისტრო ნაშრომის სავარაუდო თემატიკა, - თემათა ჩამონათვალი, რომელიც მტკიცდება სტუდენტების ინტერესების მიხედვით. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ შეცვალონ არსებული თემის სათაური და საჭიროებისას თემის ხელმძღვანელი.

ვიზიტის დროს გასაუბრებისას მაგისტრანტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს განსაკუთრებული მადლიერება ხელმძღვანელების მიმართ. ხელმძღვანელები რეგულარულად უწევენ კონსულტაციებს სტუდენტებს მათი საჭიროებებიდან გამომდინარე. სტუდენტების თქმით, ხელმძღვანელი სტუდენტს კონსულტაციას უწევს შემდეგ საკითხებზე: კვლევის დიზაინს, კვლევის მეთოდოლოგია, საჭირო ლიტერატურის მოძიება და სხვა. სამეცნიერო ხელმძღვანელებთან ერთად, სტუდენტები აქვეყნებენ სამეცნიერო სტატიებს და მონაწილეობენ კონფერენციებში.

ხარისხის სამსახურის უფროსთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ უსდ-ს შემუშავებული აქვს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმები. ამავდროულად დაწესებულების მიერ მოწოდებულ კურსდამთავრებულთა გამოკითხვის კვლევაში, არ ფიქსირდება ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის ხარისხის შეფასების კითხვები, ამრიგად სასურველია კურსდამთავრებულთა გამოკითხვისას გათვალისწინებულ იყოს მაგისტრანტის ნაშრომის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის შეფასების შესაბამისი კითხვები.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 ტრანსპორტი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)¹⁰ (ტრანსპორტი, მაგისტრატურა) პროგრამა 2 სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია, მაგისტრატურა)			
სამაგისტრო ნაშრომების რაოდენობა	ხელმძღვანელების		19
//სადოქტორო ნაშრომების რაოდენობა	ხელმძღვანელების		
მაგისტრანტების რაოდენობა			12
//დოქტორანტების რაოდენობა			
თანაფარდობა ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	-	სამაგისტრო ნაშრომების	19/12
თანაფარდობა ხელმძღვანელები/დოქტორანტები	-	სადოქტორო ნაშრომების	

¹⁰ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დაწესებულებაში ვიზიტისას სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან ჩატარებული ინტერვიუები;
- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროგრამა, კურსების სილაბუსები;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ;
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი;
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
- თანაფარდობა - ხელმძღვანელები/ აქტიური სტატუსის მქონე მაგისტრანტები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)
რეკომენდაცი(ებ)ი:
რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)
რეკომენდაცი(ებ)ი:
რჩევ(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 3. 2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 „ტრანსპორტი“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, ინდივიდუალური მუშაობა მათთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 „ტრანსპორტი“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 „ტრანსპორტი“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამა 1 (ტრანსპორტი მაგისტრატურა) ¹¹					
პროგრამაში ჩართული პერსონალის (მათ შორის, სამეცნიერო, პერსონალი)	ჩართული პერსონალის რაოდენობა აკადემიური, მოწვეული	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ¹²	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ¹³	მათ შორის, ავილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	20	20	20	20	20
- პროფესორი	14	14	14	14	14
- ასოცირებული პროფესორი	6	6	6	6	6
- ასისტენტ-პროფესორი					
- ასისტენტი					
მოწვეული პერსონალი	7	7	7		-
სამეცნიერო პერსონალი					-

აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება წარმოდგენილი პირადი საქმეებით და პირადი ინფორმაციით (CV), სადაც მითითებულია სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები. პერსონალს გააჩნია მრავალწლიანი გამოცდილება, როგორც სამეცნიერო, ასევე აკადემიური და პრაქტიკული მიმართულებით. აღნიშნულის დადასტურებაა ის პროექტები და სამუშაოები, რომელიც შესრულებულია პროგრამაში ჩართული პერსონალის მიერ. მათ შორის აღსანიშნავია სამუშაოები საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტის მიმართულებით. ამასთან ერთად პერსონალი მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო ჟურნალების სარედაქციო კოლეგიებში და ქმნიან სასწავლო მასალას სტუდენტებისათვის. პროგრამაში ჩართული პერსონალი ვიზიტის პერიოდისათვის ასევე მონაწილეობს ქალაქ თბილისის სხვადასხვა სატრანსპორტო პროექტებში.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალი აფორმებს ხელშეკრულებას უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, სადაც მითითებულია მათი უფლებები და მოვალეობები და მათი აკადემიური დატვირთვა. პერსონალის რაოდენობა უზრუნველყოფს ჩარიცხული მაგისტრების სრულად დაკმაყოფილებას სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის კუთხით. გამომდინარე იქედან, რომ ბევრი მათგანი პრაქტიკულად მუშაობს საქართველოს რკინიგზაში საკვლევი თემების უმრავლესობა პრაქტიკული შინაარსისაა.

სამაგისტრო პროგრამას „ტრანსპორტი“ ჰყავს ხელმძღვანელი, რომელსაც გააჩნია აკადემიური მუშაობის დიდი გამოცდილება, რაც დადასტურდა ხელმძღვანელთან გასაუბრებით და მისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების შემოწმებით. პროგრამის ხელმძღვანელი მტკიცდება უნივერსიტეტში არსებული წესით და მისი სამუშაო განსაზღვრულია დებულებაში გაწერილი მუხლების შესაბამისად.

¹¹ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

¹² ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

¹³ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

სამაგისტრო პროგრამას „ტრანსპორტი“ ჰყავს ასევე დამხმარე პერსონალი, რომელთა უფლებები გაწერილია სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებში. წარმოდგენილი პერსონალის რაოდენობა საკმარისია სასწავლო პროცესის სრულად და გამართულად წარმართვისათვის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამა 2 „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ¹⁴					
პროგრამაში პერსონალის (მათ შორის, სამეცნიერო, პერსონალი)	ჩართული რაოდენობა აკადემიური, მოწვეული	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ¹⁵	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ¹⁶	მათ შორის, ავილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი		13	13	13	12
- პროფესორი		10	10	10	10
- ასოცირებული პროფესორი		2	2	2	2
- ასისტენტ-პროფესორი					
- ასისტენტი					
მოწვეული პერსონალი		1	1	1	-
სამეცნიერო პერსონალი					-

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ განხორციელებას ემსახურება 13 პერსონალი, ამათგან: 10 პროფესორი, 2 ასოცირებული პროფესორი და 1 მოწვეული მასწავლებელი.

საგანმანათლებლო პროგრამას „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რაც დასტურდება პროგრამის პაკეტზე თანდართული დოკუმენტაციით. აკადემიური პერსონალის შერჩევა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხდება ღია კონკურსის წესით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტის წესდების მოთხოვნების დაცვით.

აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია კანონმდებლობისა და უსდ-ის შიდა რეგულაციებით დადგენილ სტანდარტებთან. როგორც აკადემიურ, ისე მოწვეულ პერსონალს აქვს შესაბამისი კომპეტენცია, რაც დასტურდება მათ მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული შრომებით: სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, რეფერირება და რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები, მოხსენებები საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში, რაშიც მათ ხელს უწყობს უნივერსიტეტში მოქმედი თანამშრომელთა პრემირების და სახელმძღვანელოების გამოცემის

¹⁴ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

¹⁵ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

¹⁶ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

მხარდამჭერი ღონისძიებები, რაც დასტურდება უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებით.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო და სამეცნიერო - კვლევითი პროცესის წარმართვას. მათი პერსონალური მონაცემების გაცნობით დასტურდება, რომ აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. შესაბამისად, მათ მიერ პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადო დონეზე წარმართვა ეჭვს არ იწვევს.

თანაფარდობა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალის საერთო რაოდენობას შორის და მათი შესაბამისობა პროგრამაზე სტუდენტთა დაგეგმილ რაოდენობასთან უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

უნდა აღინიშნოს განმახორციელებელი პერსონალის საშუალო ასაკის მაღალი მაჩვენებელი, რაც სწავლის კომპეტენტურად და მაღალპროფესიონალურ დონეზე წარმართვის მყარი გარანტიაა, მაგრამ პროგრამის შემდგომი სიცოცხლისუნარიანობისათვის აუცილებლად მოითხოვს ახალგაზრდა კადრების აღზრდას და პროფესიონალად ჩამოყალიბებას.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისათვის აუცილებელი ცოდნა და მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება, რაც დასტურდება მისი პერსონალური მონაცემებით. კერძოდ: მრავალწლიანი სამეცნიერო-პრაქტიკული და პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით: სამეცნიერო შრომები, საავტორო მოწმობები და პატენტები, პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი სახელმძღვანელოები და სალექციო კურსები. პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი ნია ნათბილაძე არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „პოლიგრაფიისა და მსუბუქი მრეწველობის ტექნოლოგიების“ დეპარტამენტის ხელმძღვანელი, და შესაბამისად უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში, აქტიურად თანამშრომლობს დამსაქმებლებთან, დარგის საწარმოებთან, კურსდამთავრებულებთან დარგის მოთხოვნათა შესაბამისად პროგრამის განვითარების მიზნით, რაც დადასტურდა დამსაქმებლების, პრაქტიკის ბაზების პოტენციურ ხელმძღვანელებსა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას ემსახურება სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი, დეკანის, დეკანის მოადგილეების, ფაკულტეტის მენეჯერის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსით და სხვა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის (სულ 33,5 საშტატო ერთეული) სახით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური, მოწვეული პერსონალის CV, დიპლომები და შრომების სია;
- აკადემიური, მოწვეული პერსონალის კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- აკადემიური პერსონალის ტრენინგებში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები;
- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აკადემიური დატვირთვების გაანგარიშებისა და განაწილების ინსტრუქცია;
- პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

შეფასება

კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 „ტრანსპორტი“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 „ტრანსპორტი“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამა 1 „ტრანსპორტი“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ¹⁷			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები ¹⁸	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	16	16	16
- პროფესორი	11	11	11
- ასოცირებული პროფესორი	5	5	5
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			-
სამეცნიერო პერსონალი			-

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრანსპორტო სისტემების და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტზე დასაქმებული აკადემიური პერსონალის განვითარება ხორციელდება საერთო საუნივერსიტეტო სტრატეგიის საფუძველზე, რომელიც დოკუმენტალურად მოცემულია „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და სტრატეგია“-ში. უნივერსიტეტი ქმნის გარემოს, სადაც როგორც აკადემიურ ასევე მოწვეულ პერსონალს საშუალება ეძლევა გამოავლინოს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი კვლევასა და სასწავლო პროცესში. უნივერსიტეტში ტარდება პერსონალის შეფასების და კმაყოფილების კვლევა. კვლევის შედეგები გამოიყენება პერსონალის საჭიროებების მიხედვით ახალი სტრატეგიის შედგენაში. პერსონალს კვლევებისათვის აქვს აუცილებელი პირობები (მატერიალური, ფინანსური რესურსები და სხვა).

სამაგისტრო პროგრამაში ჩართული პერსონალი სისტემატიურად მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში. უნივერსიტეტი მონაწილეობს ან სრულად აფინანსებს მათ მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციების მუშაობაში. ფაკულტეტზე რეგულარულად ტარდება საერთაშორისო კონფერენცია „სტრანსპორტო ხიდი ევროპა-აზია“,

¹⁷ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

¹⁸ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე ნაშრომების ხელმძღვანელები

სადაც ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობა დაფინანსებულია უნივერსიტეტის მიერ. ასევე მნიშვნელოვანია დახმარება იმ პერსონალისთვის, ვინც აქვეყნებს მონოგრაფიებს, ან ქმნის სასწავლო მასალებს მაგისტრებისთვის.

სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში დასაქმებული პერსონალის არსებული ინფორმაციის ანალიზმა აჩვენა, რომ მათი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დინამიკა არის მზარდი, რაც დასტურდება რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამა 2 „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა¹⁹			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები²⁰	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	13	13	12
- პროფესორი	10	10	10
- ასოცირებული პროფესორი	2	2	2
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი	1	1	-
სამეცნიერო პერსონალი			-

მაგისტრანტისათვის ხელმძღვანელის შერჩევა/დანიშვნა განისაზღვრება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულებით მაგისტრატურის შესახებ, რომელშიც განსაზღვრულია, რომ მაგისტრანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სტუ-ის შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, მოწვეული პერსონალი/პედაგოგი (დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი), ემერიტუსი, სტუ-თან ინტეგრირებული სამეცნიერო ინსტიტუტის/ცენტრის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

მაგისტრანტის ხელმძღვანელი მაგისტრანტთან შეთანხმებით ადგენს პერსონალურ სამუშაო გეგმას, სადაც უნდა იყოს მითითებული სამაგისტრო ნაშრომის დასახელება, სავალდებულო და არჩევითი საგნების ჩამონათვალი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტით გათვალისწინებული ჩასატარებელი ღონისძიებები. მაგისტრანტის ხელმძღვანელი ხელმძღვანელობს მაგისტრანტის მიერ სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას და დაცვისათვის მომზადებას.

¹⁹ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

²⁰ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე ნაშრომების ხელმძღვანელები

საგანმანათლებლო პროგრამას “სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია” ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რაც დასტურდება პროგრამის პაკეტზე თანდართული დოკუმენტაციით, რომლებიც ამავდროულად შეიძლება ხელმძღვანელობდნენ სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესს. მათი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის მიზანთან და სწავლის შედეგებთან. მათი პერსონალური მონაცემების გაცნობით დასტურდება, რომ აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. შესაბამისად, მათ მიერ სამაგისტრო ნაშრომის შესრულების გაძღვლა და მაგისტრანტის სათანადო დონეზე, კომპეტენტურად ხელმძღვანელობა ექვს არ იწვევს. აღნიშნული დადასტურდა მაგისტრანტთა პოტენციურ ხელმძღვანელებთან გასაუბრების შედეგად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დებულება <https://gtu.ge/Stmm/Pdf/FAKULTETIS%20DEBULEBA+.pdf>;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის CV, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის მეცნიერული მიღწევები <http://science.gtu.ge/>;
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები;
- პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)
რეკომენდაცი(ებ)ი:
რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)
რეკომენდაცი(ებ)ი:
რჩევ(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	4.2	შესაბამისობაშია და მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია					
პროგრამა „ტრანსპორტი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა“	1	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	2	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მუდმივად მიმდინარეობს ზრუნვა პერსონალის(აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული) განვითარებისათვის. კვალიფიკაციის ამაღლების, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის შემუშავებულია პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და სტრატეგია. უნივერსიტეტი ქმნის გარემოს, სადაც პერსონალს საშუალება აქვს გამოავლინოს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი სწავლებისა და კვლევის პროცესში.

აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტში შექმნილია პროფესიული განვითარების ცენტრი, სადაც პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი გადის ტრენინგებს კარიერის დაგეგმვაში, სწავლა სწავლების და სწავლის შედეგების შეფასები თანამედროვე მეთოდოლოგიებში. პერსონალის პროფესიული განვითარება უზრუნველყოფილია ასევე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და

ფინანსური რესურსით, მათ შორის აღსანიშნავია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის რესურსები სამეცნიერო ბაზებთან წვდომის მიმართულებით. კლასტერში გაერთიანებული აკადემიური პროგრამების აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობების გაზრდის მიზნით რიგ შემთხვევებში უნივერსიტეტი ფინანსურად უზრუნველყოფს სამეცნიერო ღონისძიებების ჩატარებას (საერთაშორისო კონფერენციები, სემინარები და სხვა). ასევე მხარდაჭერილია სამეცნიერო ნაშრომების და ბეჭდური მასალის გამოქვეყნება. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ 2022 წლის ოქტომბერში ჩატარებული ქართულ-პოლონური საერთაშორისო კონფერენცია „სატრანსპორტო ხიდი ევროპა-აზია“. კვლევითი და საგანმომცემლო ანალიზის საფუძველზე ხდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების დაგეგმვა და მათი წახალისება. უნივერსიტეტის მიერ პერსონალის განვითარებაზე გაწეული სამუშაოების შესახებ კარგად გამოიკვეთა პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების პროცესში. მნიშვნელოვანია რომ ღონისძიებები რომელიც ითვალისწინებს პერსონალის განვითარებას ხელმისაწვდომია სასწავლო და სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში ჩართული ყველა მონაწილისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტატისტიკური მაჩვენებლები აკადემიური პერსონალის შესახებ <http://my.gtu.ge/>
- პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის CV, სამეცნიერო შრომები და კონფერენციებში მონაწილეობის მონაცემები;
- ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)
რეკომენდაცი(ებ)ი:
რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)
რეკომენდაცი(ებ)ი:
რჩევ(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი აკადემიური, სამეცნიერო მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	4.3 და	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა „ტრანსპორტი“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	1	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	2 და	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამებისათვის უნივერსიტეტში არსებობს მატერიალური რესურსი, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების განხორციელებას. კერძოდ, არსებობს სათანადო ინვენტრით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიები. პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად ლაბორატორიებში არის შესაბამისი ხელსაწყოები და ტექნიკა. გარდა აღნიშნულისა, პარტნიორ ორგანიზაციებში განთავსებული ტექნიკური საშუალებებიც გამოყენებულა პროგრამის მიზნების შესასრულებლად.

სტუ-ს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში და ასევე ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა, უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები. ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე განთავსებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და პროგრამების სილაბუსებში გაწერილი სავალდებულო ლიტერატურის ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევასა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. სილაბუსებში

მითითებული ძირითადი ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ასევე ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და ლიტერატურის ელექტრონული საძიებო სისტემა, ასევე წვდომა საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე, რაც დადასტურდა საძიებო სისტემის ხელმისაწვდომობის შემოწმების დროს. კერძოდ, საბიბლიოთეკო რესურსის შემოწმების დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით მოხდა რამდენიმე სილაბუსში მითითებული ლიტერატურის გადამოწმება. შემოწმებამ აჩვენა, რომ ბიბლიოთეკაში არსებობს საჭირო ლიტერატურა და მათი მოძიება შესაძლებელია დისტანციურად. ასევე პერსონალისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია სამეცნიერო ბაზები, რაც უახლესი მეცნიერული კვლევების გაცნობის საშუალებას იძლევა.

მაგისტრატურის სტუდენტთა სასწავლო და კვლევით პროცესს ემსახურება ასევე ფაკულტეტზე არსებული კომპიუტერული ცენტრები, საკონფერენციო დარბაზი, რომელიც აღჭურვილი არის შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკით და საჭირო ინვენტარით. სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი კომპიუტერული ცენტრის მასშტაბური სივრცით, როგორც სასწავლო პროცესში, ისე პირადი განვითარებისა და სასურველი ინფორმაციის მოძიების მიზნით. სასწავლო სივრცეებში, ყველა სართულზე დაცულია ხანძარსაწინააღმდეგო და შრომის უსაფრთხოების წესები.

პროგრამის ეფექტურ განხორციელებას უზრუნველყოფს უწყვეტი ელექტროენერგია, გათბობის სისტემა, სველი წერტილები. სამედიცინო ცენტრი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის.

ადმინისტრაციასთან ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ მიმდინარეობს სამუშაოები, მათ შორის მოლაპარაკებები გერმანულ მხარესთან, რომ მოხდეს მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 „ტრანსპორტი“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტს სასწავლო გარემო აღჭურვილი აქვს როგორც წლების განმავლობაში შენარჩუნებული, ასევე ახალი, თანამედროვე მანქანა-მოწყობილობებით, ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია და შესაბამისობაშია თანამედროვე მოთხოვნებთან. „ტრანსპორტის“ სამაგისტრო პროგრამისთვის გაუმჯობესებულია მატერიალურ ტექნიკური ბაზა, რომელიც პირობითი აკრედიტაციის დროს მიღებული რეკომენდაციის შესრულებას ადასტურებს. კერძოდ, ფონდ „ქართუს“ მიერ დაფინანსებულია ახალი საწვავ-საცხები მასალების კვლევითი ლაბორატორია, რომელშიც შესაძლებელია ფართო მასშტაბიანი სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების წარმოება, როგორც სამაგისტრო, ასევე დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებისთვის.

პროგრამა უზრუნველყოფილია სასწავლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. სასწავლო სივრცეებში დაცული არის შრომის უსაფრთხოების წესები. კვლევითი მიმართულების გაძლიერების მიზნით ფონდ „ქართუს“ მიერ შემენილია და უკვე მზად არის საწვავ-საცხები მასალების სასწავლო-კვლევითი ლაბორატორია, რაც სიახლეა აკრედიტაციის წინა ვიზიტთან შედარებით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის „პოლიგრაფიისა და მსუბუქი მრეწველობის ტექნოლოგიის დეპარტამენტის“ სასწავლო გარემო აღჭურვილი აქვს როგორც წლების განმავლობაში შენარჩუნებული, ასევე ახალი, თანამედროვე მანქანა-მოწყობილობებით, ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია და შესაბამისობაშია თანამედროვე მოთხოვნებთან. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და აღჭურვილობა რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. ლაბორატორიულ ბაზას ეტყობა მოამაგე ადამიანების მზრუნველობის შედეგი.

პროგრამა უზრუნველყოფილია მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის, საავტომობილო ტრანსპორტის და სარკინიგზო ტრანსპორტის დეპარტამენტების მატერიალურ ტექნიკური ბაზა;
2. სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა <https://gtu.ge/Library/About-Us/Info.php>;
3. საბიბლიოთეკო სისტემა "KOHA" <http://opac.gtu.ge/>
4. სამეცნიერო მონაცემთა ბაზები <https://gtu.ge/Library/Databases/>
5. სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
6. ინტერვიუები ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)
რეკომენდაცი(ებ)ი:
რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)
რეკომენდაცი(ებ)ი:
რჩევ(ებ)ი:
.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი მატერიალური რესურსი	4.4	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა „ტრანსპორტი „სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	1	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	2	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 „ტრანსპორტი“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას „ტრანსპორტი“ თანდართული აქვს პროგრამული ბიუჯეტი, რომლის მდგრადობას უზრუნველყოფს პროგრამაზე 13 სტუდენტის მიღება. პროგრამის ბიუჯეტში გაწერილია ძირითადი სტანდარტული პარამეტრები, რომელიც თავის მხრივ შედის ფაკულტეტის ბიუჯეტში. სავარაუდო ხარჯებისა და შემოსავლების გათვალისწინებით, ფაკულტეტს შემუშავებული აქვს დამოუკიდებელი წლიური ბიუჯეტი, რომელიც დამტკიცებულია სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ. წარმომადგენელი ბიუჯეტის შესახებ ისაუბრეს პროგრამის ხელმძღვანელმა და ფაკულტეტის დეკანმა ინტერვიუს დროს. მათ დაადასტურეს, რომ მონათესავე დარგების საბაკალავრო პროგრამების დამასრულებელი კურსის სტუდენტებს აქვთ დაინტერესება „ტრანსპორტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ. ადმინისტრაციასთან ინტერვიუებით გაირკვა აგრეთვე, რომ აღნიშნული მიმართულებით უნივერსიტეტის ადმინისტრაციაც აღმოუჩენს პროგრამის განვითარებას ქმედით დახმარებას, რადგან ტრანსპორტის მიმართულებით მიმდინარე დიდი პროექტები ქალაქ თბილისში მოითხოვს ახალ კვალიფიციურ კადრებს. სახეზე გვაქვს ტრანსპორტის მიმართულების პერსონალის ჩართულობა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პრობლემების გადაჭრაში. ანალოგიური შეიძლება ითქვას სარკინიგზო ტრანსპორტის შემთხვევაშიც.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ თანდართული აქვს პროგრამული ბიუჯეტი, რომლის მდგრადობას უზრუნველყოფს პროგრამაზე 19 სტუდენტის მიღება. პროგრამის ბიუჯეტში გაწერილია ძირითადი სტანდარტული პარამეტრები, რომელიც თავის მხრივ შედის ფაკულტეტის ბიუჯეტში. სავარაუდო ხარჯებისა და შემოსავლების გათვალისწინებით, ფაკულტეტს შემუშავებული აქვს დამოუკიდებელი წლიური ბიუჯეტი, რომელიც დამტკიცებულია სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ. პროგრამა ახალია, მისი კონტიგენტის შევსების პროგნოზის შესახებ პროგრამის ხელმძღვანელმა და ფაკულტეტის დეკანმა ინტერვიუს დროს, გასაუბრების შედეგებზე დაყრდნობით დაადასტურეს მონათესავე დარგების საბაკალავრო პროგრამების დამასრულებელი კურსის სტუდენტების დაინტერესება „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუ-ის ბიუჯეტი <https://gtu.ge/AboutStu/stu-budget.php>
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ტრანსპორტი“ პროგრამის ბიუჯეტი;
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ პროგრამის ბიუჯეტი.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 „ტრანსპორტი“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 „ტრანსპორტი“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს სტუ-ში კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომლის საქმიანობის ძირითადი სფეროებია სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება, რეკომენდაციების შემუშავება, თვითშეფასების პროცესების ორგანიზება და სამსახურის დებულებით განსაზღვრული სხვა საქმიანობა და ეფუძნება პრინციპს - "დაგეგმე, განხორციელე, შეამოწმე, განავითარე"

სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 აპრილის 01-05-04/108 დადგენილებით დამტკიცებულია „სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის ძირითად პრინციპებს წარმოადგენს საერთაშორისო სტანდარტებში მოცემული შემდეგი ძირითადი პრინციპები: მომხმარებელზე ორიენტაცია; ხელმძღვანელობის ლიდერობა; თანამშრომელთა ჩართულობა; მუდმივი გაუმჯობესება; გადაწყვეტილებების მიღება ფაქტებისა და მონაცემების საფუძველზე; ურთიერთსასარგებლო ურთიერთობა პარტნიორებთან; ამავე დოკუმენტის შემადგენელ ნაწილს და დანართს წარმოადგენს სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს ხელმძღვანელობის ხედვასა და ძირითად ღირებულებებს. იგი მოიცავს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ფუნქციონირებისა და განვითარების ძირითად პრინციპებს, მიმართულებებსა და ფუნქციებს.

დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი, რომელიც დამტკიცებულია სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის №01-05-04/261 დადგენილებით. ამ დებულების შესაბამისად პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესი უნდა იყოს ღია, გამჭვირვალე და ურთიერთთანამშრომლობითი პროცესი, რომელშიც უნდა მონაწილეობდეს ყველა დაინტერესებული მხარე – შესაბამისი დარგის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პროფესიული ასოციაციები და სხვა მხარეები (არსებობის შემთხვევაში).

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვას, შემუშავებას, ეფექტური განხორციელებისა და განვითარების ხელშეწყობასა და მონიტორინგს კოორდინირებას უწევს როგორც სტუ-ს, ასევე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან უნივერსიტეტში ჩამოყალიბებული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმის შესაბამისად შეფასება ძირითადად ხორციელდება სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის, დამსაქმებელთა გამოკითხვის გზით, რისთვისაც შემუშავებულია შესაბამისი კითხვარები.

კლასტერში შეძვეალი ორივე პროგრამისთვის წარმოდგენილია კურსდამთავრებულების, სტუდენტების აკადემიური პერსონალის გამოკითხვის კითხვარები. ასევე, ორივე პროგრამისთვის წარმოდგენილია კურსდამთავრებულთა პოტენციური დამსაქმებლების გამოკითხვს შედეგები და ანალიზი. “ტრანსპორტის” სამაგისტრო პროგრამისთვის წარმოდგენილია ასევე სტუდენტების, კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები და ანალიზი.

“ტრანსპორტის” სამაგისტრო პროგრამისთვის წარმოდგენილ კითხვარის ანალიზისთვის გამოკითხულია 6 სტუდენტი, 12 კურსდამთავრებული და 11 სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის მაგისტრატურის პროგრამის კურსდამთავრებულთა პოტენციური დამსაქმებელი. სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგიის პროგრამისთვის წარმოდგენილია პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები და ანალიზი, გამოკითხულია 5 დამსაქმებელი.

აკრედიტაციის ვიზიტის დროს ინტერვიუების დროს თვითშეფასების ჯგუფის, სტუდენტების ინტერვიუებიდან გამოჩნდა რომ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიშის შედეგა თანამშრომლობითი პროცესი იყო, რომელშიც ჩართული იყო აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები. დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების მოსაზრებები გათვალისწინებული იყო პროგრამის განვითარებისას. თვითშეფასების ჯგუფმა განახორციელა პროგრამების შედარება საერთაშორისო ანალოგებთან და პროგრამის შემუშავების დროს გათვალისწინებული იყო საერთაშორისო გამოცდილება. ტრანსპორტის სამაგისტრო პროგრამის შედეგისას გათვალისწინებული იყო ანალოგები: შვედეთი, KTH სამეფო ტექნოლოგიური ინსტიტუტი <https://www.kth.se/en/studies/master/railwayengineering/courses-railway-engineering-1.678561>;

ლიეტუვა, ვილნიუსის ტექნიკური უნივერსიტეტი - https://vilniustech.lt/studies/study-programmes/master-studyprogrammes/317411?element_id=317413&sp_id=300&f_id=6&qualification=a%3A1%3A%7Bi%3A0%3Bs%3A1%3A%22M%22%3B%7D

აკრედიტაციის ვიზიტის პროცესში აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პოტენციურ დამსაქმებელთან შეხვედრებზე დაადასტურეს, რომ თანამშრომლობდნენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებენ ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა, რომ ისინი პროგრამის შემუშავების პროცესში მუდმივად კონსულტაციას იღებდნენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისგან სტანდრტების მოთხოვნებთან დაკავშირებით, აგრეთვე მათ მიეწოდებათ ინფორმაცია კვლევების დროს გამოვლენილი საკითხების, შეფასების ანალიზის შესახებ და ხდებოდა მათი გათვალისწინება საქმიანობაში. დაინტერესებულმა პირებმა აღნიშნეს, რომ პროგრამის შემუშავების დროს გათვალისწინებულ იქნა მათი მოთხოვნები. სტუდენტებმა აღნიშნეს რომ პერსონალმა გაითვალისწინა მათი მოთხოვნა საწარმოს დაგეგმვის სიმულაციური კურსის შემუშავებაზე, აკადემიური პერსონალის მოსაზრებით საგანმანათლებლო პროგრამას დაემატა აღნიშნული კურსი - . დამსაქმებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ისინიც ჩართულნი

იყვნენ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში, აქვთ მჭიდრო კონტაქტი ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებლებთან. აღნიშნეს ამ პროგრამების მნიშვნელობა დასაქმების ბაზრისთვის და აღნიშნეს მათი ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში.

დამსაქმებელთა კვლევის ანალიზის დოკუმენტში ჩანს, რომ პროგრამასთან მიმართებით დამსაქმებლების რეკომენდაცია – სტუდენტებმა შეისწავლონ ევროკავშირის კანონმდებლობა ტრანსპორტის სექტორში და იყოს საქმის კურსში მისი ცვლილებების შესახებ (ორი რეკომენდაცია); პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ამ კანონმდებლობის ცოდნა მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულთა საქმიანობაში, დამსაქმებელთა მოსაზრებითაც მნიშვნელოვანია ამ საკითხის ცოდნა და მათ აღნიშნეს, რომ ევროკავშირის მოთხოვნების კომპონენტების შესწავლა ხდება ცალკეულ სასწავლო კურსებში. პროგრამის ხელმძღვანელის ინფორმაციით იგეგმება კანონმდებლობის სწავლების გათვალისწინება ან ერთი დამოუკიდებელი კურსის სახით, ან შესაბამის სასწავლო კურსებში დაკავშირებული კანონმდებლობის საკითხების დამატებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება- <http://gtu.ge/quality/About-Us/Statue.php>;
- სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 აპრილის № 01-05-04/108 დადგენილებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის №01-05-04/261 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი;
- ინტერვიუები უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან, პროგრამის განმახორციელებლებთან და დაინტერესებულ პირებთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (ტრანსპორტი, სამაგისტრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

გათვალისწინებულ იქნას კურსდამთავრებულების პოტენციური დამსაქმებლების მოთხოვნა – პროგრამაში შესწავლილ იქნას ევროკავშირის კანონმდებლობა ტრანსპორტის სექტორში და გამოუმუშავოს სტუდენტს უნარი – თვალყური ადევნოს ცვლილებებს არსებობის შემთხვევაში.

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 5.1 პროგრამის/ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 „ტრანსპორტი“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

გარე შეფასების მექანიზმებია-ავტორიზაცია და აკრედიტაცია, რომელსაც ახორციელებს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. შეფასების დროს მიღებული რეკომენდაციები გაითვალისწინება პროგრამის განვითარებისას და განხორციელებისას. კლასტერში წარმოდგენილი პროგრამის ტრანსპორტის სამაგისტრო პროგრამის მომზადებისას გათვალისწინებულ იყო და პროგრამაზე განვითარებაზე მომუშავე ჯგუფის მიერ მოხდა პირობითი აკრედიტაციის დროს მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინება.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით აღწერა და ანალიზი - პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამა ტრანსპორტის სამაგისტრო პროგრამამ, რომლის პირვანდელი დასახელება იყო “ტრანსპორტის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა 2021 წლის 15 ივნისს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს MES 4 21 0000574578 გადაწყვეტილებით 2 (ორი) წლის ვადით მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილ დასკვნაში სულ ჩამოყალიბებულია 10 რეკომენდაცია. უმაღლესმა სასწავლო დაწესებულებამ აღნიშნული რეკომენდაციები გაითვალისწინა და მოახდინა შესაბამისი

ცვლილებები. კერძოდ უპირატესობა აქვს მინიჭებული შედარებით ახალ სალიტერატურო წყაროებს სტუდენტების ინფორმირებისათვის არსებობს გამართული სისტემა, სასწავლო პროცესის და მიმდინარე გამოცდების შესახებ, პერსონალისათვის განსაზღვრულია სასურველი ტრენინგების საჭიროებები, ფაკულტეტის ბიუჯეტში გაზრდილია მატერიალურ ტექნიკური ბაზისათვის საჭირო ფინანსური რესურსები.

დაწესებულებამ წარმოადგინა გამოკითხვების ანალიზები (გამოკითხულია დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და სტუდენტები); წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის მსგავს პროგრამებთან დადარების დოკუმენტი (სტუ, ლიეტუვა, შვედეთი), საფაკულტეტო კომისიის სხდომის ოქმები, გაკეთებულია პროგრამის კომპლექსური შეფასება, რომელშიც ჩართული იყო აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები. პროგრამის შესაფასებლად გამოყენებულია შემდეგი ინდიკატორები:

1. პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი;
2. ადამიანური რესურსი;
3. წლების მიხედვით სტუდენტების პროგრესის შესწავლა-ანალიზი;
4. SWOT-ანალიზი

დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ ისინი მონაწილეობენ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებით გათვალისწინებულ აქტივობებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გამოკითხვების ანალიზები;
- საგანმანათლებლო პროგრამის მსგავს პროგრამებთან დადარების დოკუმენტი;
- ტრანსპორტის სამაგისტრო პროგრამის კომპლექსური შეფასება;
- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუ.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 5.2 გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 „ტრანსპორტი“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია, მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა და ანალიზი

პროგრამა 1 „ტრანსპორტი“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამა 2 „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

- სტუ-ში მოქმედებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა, რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს მუდმივად ადევნოს თვალი საკუთარი შეფასებების შედეგებს. პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში სტუდენტმა შეიძლება მიმართოს ფაკულტეტის დეკანს ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, აგრეთვე, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ან ხელმძღვანელობას. გარდა ამისა, სისტემა აღნიშნული ინფორმაციის სტატისტიკური დამუშავებისა და ანალიზის საშუალებას იძლევა სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. მონიტორინგისთვის ასევე იყენებენ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგად მიღებულ შედეგებს.

- უსდ-ს შემუშავებული აქვს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა. შეფასების პროცედურების ვადები, შეფასების თითოეული ფორმისა და კომპონენტის ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში და, საჭიროების შემთხვევაში, კომპონენტშიც მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და სხვა, შესაბამისი კრიტერიუმების ჩვენებით მოცემულია საგანმანათლებლო პროგრამაში, აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე, და ხელმისაწვდომია როგორც შემფასებლებისთვის, ასევე, სტუდენტებისთვის.

- საფაკულტეტო კომისიების მიერ ხორციელდება შეფასებები როგორც აკადემიური პერსონალის კუთხით, ასევე პროგრამის მონიტორინგის მიზნით და პროგრამის განვითარების მიზნით. ეს შეფასებები არის რეგულარული - სემესტრის ბოლოს, სასწავლო წლის დასაწყისში ან ბოლოს, ან დაგეგმილია საფაკულტეტო კომისიის მიერ: საფაკულტეტო კომისიებს სხვა ძირითად ფუნქციებთან ერთად ევალება აკადემიური პერსონალის მიერ ჩატარებული მეცადინეობების ხარისხის და საგანმანათლებლო პროგრამებთან შესაბამისობის შეფასება. შეიქმნა საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიები, დამტკიცდა კომისიების საქმიანობის რეგლამენტი. კომისია ამოწმებს საგანმანათლებლო პროგრამებითა და სასწავლო კურსების პროგრამებით გათვალისწინებული ლაბორატორიული აღჭურვილობის, სათანადო ლიტერატურის, პროგრამების განმახორციელებელი ადამიანური რესურსის, აუდიტორიებისა და პროგრამის სხვა პარამეტრების შესაბამისობას ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მოთხოვნებთან, აგრეთვე პროგრამების განხორციელების მიმდინარეობას
- ფაკულტეტზე ხორციელდება პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პერიოდული შეფასება. ფასდება როგორც მათი სასწავლო ასევე კვლევითი საქმიანობა; მიღებული შედეგების საფუძველზე იგეგმება შემდგომი აქტივობები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის დადგენილება № 531 სტუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ <https://gtu.ge/pdf/dadgenilebebi/dadg531.pdf>;
- სტუ-ს რექტორის ბრძანება (19.11.2019 № 01-09-10/273), ფაკულტეტებზე კომისიების შექმნისა და მათი რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“; https://gtu.ge/pdf/brdzanebebi/2019_11_20_10_56_11.pdf;
- სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 აპრილის 01-05-04/108 დადგენილებით დამტკიცებული „სტუ - ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“;
- უსდ-ს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები - ხარისხის შიდა მექანიზმებით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)
რეკომენდაცი(ებ)ი:
რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)
რეკომენდაცი(ებ)ი:
რჩევ(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	5.3	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა „ტრანსპორტი“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	1	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	2	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა „ტრანსპორტი“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	1	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა		<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდება, საფეხურები:

პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობა

პროგრამა / სტანდარტი	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
პროგრამა 1 ტრანსპორტი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ფრიდონ გოგიაშვილი



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი

მაია გრბელიძე



ნინო ჯოჯუა



დავით კაკიაშვილი



მზევარ გოგილავა

